საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
LEPL LABOUR INSPECTION OFFICE

MOH 9 22 00045024 23/06/2022

მოქ. ანა ხიტირს
ელ.ფოსტა:foi+request-619-22556dd9@askgov.ge

ქალბატონო ანა,

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურში მიმდინარე წლის 13 ივნისს რეგისტრირებული N24337 წერილი პასუხად, რომლითაც მოთხოვნილია საჯარო ინფორმაცია შრომით ურთიერთობებში 2021-2022 წლებში სექსუალური შევიწროების სტატისტიკისა და დაცვის მექანიზმების არსებობის შესახებ, გაცნობებთ შემდეგს:

სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახურში 2021 წლის 1-ლი იანვრიდან დღემდე შესაძლო სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით შემოსულია 2 საჩივარი. აღნიშნულიდან, ერთ მათგანზე არ დადასტურდა ,,დაინტერესებულ პირად'' ყოფნის ფაქტი, მიუხედავად იმისა, რომ საზედამხედველო ორგანოს მიერ ხსენებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის მიღებისათვის განსაზღვრულ იქნა ,,შრომის ინსპექციის შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილი მაქსიმალური ვადა. რაც შეეხება, მეორე საჩივარს, სექსუალური შევიწროების შესაძლო დარღვევის ფაქტს ადგილი ჰქონდა ერთი დასაქმებულის მხრიდან მეორე დასაქმებულის მიმართ. მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, რომ შრომის ინსპექციის სამსახურს არ გააჩნია დასაქმებულის ქმედების კანონიერების შესწავლის უფლებამოსილება, შრომითი უფლებების ზედამხედველობის დეპარტამენტმა დამსაქმებელთან მიმართებით იმსჯელა ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის არსებობის ფაქტზე, რომლის საფუძველზეც შედგენილ იქნა შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მითითება. ამასთან, განხორციელდა აღნიშნული ობიექტის რეინსპექტირება, რა დროსაც შედგა სამართალდარღვევის ოქმი თანდართული მითითებით და შემოწმების აქტით. ზემოაღნიშნული საჩივრის ავტორი, ორივე შემთხვევაში გახლდათ ქალი.

ამასთან, სსიპ-შრომის ინსპექციის სამსახური ნებისმიერი ინსპექტირების პროცესში ამოწმებს ობიექტზე ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის არსებობას, ვინაიდან დამსაქმებელი ვალდებულია მიიღოს ზომები დაწესებულებაში დასაქმებულთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს შრომის შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.

პატივისცემით,

დეპარტამენტის უფროსი
ნათია ბუბუტეიშვილი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად